



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU



№ 5006495023
09/10/2023

შპს სანდო -ს წარმომადგენელს

ბატონ პაატა ნადაშვილს

(საქართველო, საქართველო, ქალაქი თბილისი,
ხოშარაულის ქ. #29)

ბატონო პაატა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 22 მარტის რეგისტრაციის N1002147723) საფუძველზე, გიგზავნით რადიაციული ექსპერტიზის N007190923 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

1. თაბაშირის ბათუაში - ერთი პაკეტი.

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე

ბიუროს უფროსის მოადგილე



007190923

ექსპერტის დასკვნა № 007190923

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმეგრტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: რადიაციული ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს სანდო

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, საქართველო, ქალაქი თბილისი, ხოშარაულის ქ. #29

სახელი და გვარი: პაატა ნადაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ნუგზარ გუბაძე / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 36 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები


გთხოვთ, დაგვიდგინოთ წარმოდგენილი თაბაშირის ბათქაშის ნიმუშების მიმართ . . . რადიონუკლიდების ჯამური ხვედრითი აქტიუობა და თეორიული დასკვნა თაბაშირის მასალის ეკოლოგიურობასთან დაკავშირებით.

შემოსვლის თარიღი: 22/03/2023 წ

გასვლის თარიღი: 09/10/2023 წ

დასკვნა

დოზიმეტრულმა და სპექტრულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შ.პ.ს. „სანდო“-ს მიერ წარმოდგენილ თაბაშირის ნიმუშში გამოსხივების დოზის სიმძლავრე (0,06-0,07 მკზვ/სთ) და რადიონუკლიდების ჯამური ხვედრითი აქტიუობა (105 ბკ/კგ) არ აღემატება ფონურ დონეს და შესაბამისად, უსაფრთხოა რადიაციის თვალსაზრისით.

ნუგზარ გუბაძე 

გამოკვლევა

შ.პ.ს. „სანდო“-ს მიერ რადიაციულ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ იქნა თაბაშირის ნიმუში, რომელიც განთავსებულია ლევან საშარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პოლიეთილენის დალუქულ პაკეტში (სურ.1) წარწერით „თაბაშირის ბათქაშის ნიმუში (1 ცალი)“. პაკეტში, გახსნის შემდეგ, აღმოჩნდა ერთი ერთეული თაბაშირის ბათქაშის ნიმუში (სურ.2). ობიექტი, პირველ ეტაპზე, გამოკვლეულ იქნა დოზიმეტრით “RTI Survey Meter”. დოზიმეტრულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ გამოსხივების დოზის სიმძლავრე არის 0,06-0,07 მკზვ/სთ, რაც არ აღემატება ფონურ დონეს. ამის შემდეგ, სპექტრომეტრის დეტექტორების სისტემაში განსათავსებლად, ნიმუში დავანაწევრეთ და ჩავუტარეთ სპექტრული ანალიზი



007190923

ექსპერტის დასკვნა № 007190923

გამა-ანალიზატორით "AI-1024" სცინტილაციური დეტექტორით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინჯში საერთო ხვედრითი აქტიურობა (105 ბკ/კგ) არ აღემატება ფონურ დონეს და შესაბამისად, წარმოდგენილი თაბაშირის ნიმუში უსაფრთხოა რადიაციული თვალსაზრისით.

შენიშვნა:

თქვენს განცხადებაში დასმული მეორე საკითხი, - „... თაბაშირის მასალის ეკოლოგიურობასთან დაკავშირებით“, არ შედის რადიაციის ექსპერტის კომპეტენციაში. ამასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დარგის ექსპერტი დღეის მდგომარეობით სუბს არ ყავს, რის გამოც თაბაშირის მასალის ეკოლოგიურობასთან დაკავშირებით დასკვნა ვერ მომზადდება.

ნუგზარ გუბაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გრიგოლ სოსელია